საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030136452204019

№ 01-16/მ **18 / იანვარი / 2019 წ.**

ზაზა ბოხუას, ნათია ნოღაიდელისა და შორენა ოქროპირიძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში, ქ. ზაგრებში (ხორვატიის რესპუბლიკა) ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დაგეგმილ სასწავლო ტურში (ტური ითვალისწინებს ხორვატიის გამოცდილების გაზიარებას ორგანოთა ტრანსპლანტაციის სფეროში მოქმედი ევროდირექტივების ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის საკითხს) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 21 იანვრიდან 2019 წლის 26 იანვრის ჩათვლით, ქ. ზაგრებში (ხორვატიის რესპუბლიკა) მივლინებულ იქნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე - **ზაზა ბოხუა,** ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ნათია ნოღაიდელი** და იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **შორენა ოქროპირიძე.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს (ზაზა ბოხუა) სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სოფიკო ბელქანიას 2019 წლის 18 იანვრის №01-413 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ხელმოწერილია/ მტკიცდასმულია ელექტრონულად დავით სერგეენკო